სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკოლოგია“
მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

სპეციალობა - მუსიკის თეორია

მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შემოქმედებითი ტური სპეციალობაში, ტესტი ინგლისურ ენაში* და საერთო სამაგისტრო გამოცდა.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

I ეტაპი (წერა)
აპლიკანტს მოეთხოვება სამი შემოთავაზებული ნაწარმოებიდან ერთ-ერთის გაანალიზება. სამუშაო დრო 4 ასტრონომიული საათი.
აპლიკანტმა დამოუკიდებლად უნდა შეარჩიოს ანალიზის მიმართულება და რაკურსი. მას შეუძლია გაამახვილოს ყურადღება შემდეგ პრობლემატიკაზე:

1. ნაწარმოების ისტორიულ-სტილური მიმართების დადგენა;
2. შინაარსის ემოციური, ჟანრული, ეროვნული მახასიათებლების განსაზღვრა; კომპოზიციური, ჰარმონიული, ფაქტურული თვისებების გამოვლენა;
3. ზოგადსტილური დახასიათება მუსიკალურ-ენობრივი პარამეტრების განსაზღვრით;
4. ანალიზის პროცესში დადგენილი ფაქტების არსის გახსნა.

II ეტაპი (ზეპირი)
მცირე ფორმატის გასაუბრება აპლიკანტის მიერ გაანალიზებული ნაწარმოებისა და მის მიერ შესასრულებელი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემატიკის ირგვლივ.

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 61-100.

ინგლისური ენა*
მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი ან რეგისტრაციის დროს გამოაგზავნოს ინგლისური ენის შესაბამისი დონის სერტიფიკატი. (გამსვლელი ქულა - 51-100).